



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011712025521321

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

137188

30 / მარტი / 2021 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩაბმის შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 623917/17; **თარიღი:** 19.11.2018 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი: თენგიზ ძამსაშვილის (პირადი ნომერი 13001003515) უფლებამონაცვლე გიორგი ძამსაშვილი (პირადი ნომერი 35001057580).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის კახეთის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „კახეთის რეგიონული ოფისი“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №892018561130-21 (19.10.2018) გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოდგენი პირის მოთხოვნა: სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ № 892018561130-21 (19.10.2018) გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

უძრავი ნივთის მისამართი: გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვაჩნაძიანი.

თენგიზ ძამსაშვილმა კახეთის რეგიონულ ოფისში წარადგინა № 892018561130 სარეგისტრაციო განცხადება, რომლითაც მოითხოვა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაჩნაძიანში მდებარე უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდი: 51.02.01.517) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანა.

№892018561130 სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №892018561130-21 (19.10.2018) გადაწყვეტილება.

2018 წლის 19 ნოემბერს საჯარო რეესტრში წარმოდგენილ იქნა თენგიზ ძამსაშვილის (პირადი ნომერი 13001003515) №623917/17 ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც მოთხოვნილ იქნა სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ № 892018561130-21 (19.10.2018) გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

№892018561130 სარეგისტრაციო განცხადებაზე მომზადებული სიტუაციური ნახაზის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარდგენილ უძრავ ნივთსა და 51.02.56.131 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის დადგინდა ზედდება.

საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაჩნაძიანში მდებარე 2615 კვ.მ უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი 51.02.56.131) რეგისტრირებულია ილია დევდარიძის (პირადი ნომერი 13001047903), მარიამ დევდარიძის (პირადი ნომერი 13001049438), თამარ დევდარიძის (პირადი ნომერი 13001055136), ლელა დევდარიძისა (პირადი ნომერი 13001057945) და მაკა დევდარიძის (პირადი ნომერი 40001031417) თანასაკუთრების უფლება (რეგისტრაციას საფუძვლად დაედო №36/173241 (06.11.2017) საარქივო ცნობა).

№623917/17 (19.11.2018 წ.) ადმინისტრაციული საჩივრის მიმდინარეობისას თენგიზ ძამსაშვილი (პირადი ნომერი 13001003515) გარდაიცვალა, ხოლო ინფორმაცია მისი უფლებამონაცვლის შესახებ საჯარო რეესტრში დაცული არ იყო.

საჯარო რეესტრის № 83748 (07.03.2019 წ.) გადაწყვეტილებით, № 623917/17 ადმინისტრაციულ საჩივარზე გადაწყვეტილების მიღება გადადებულ იქნა თენგიზ ძამსაშვილის (პირადი ნომერი 13001003515) უფლებამონაცვლის დადგენამდე.

2021 წლის 18 მარტს საჯარო რეესტრში წარმოდგენილ იქნა გიორგი ძამსაშვილის (პირადი ნომერი 35001057580) წარმომადგენლის მაია უტიამვილის (პირადი ნომერი 13001012641)

განცხადება (საჯარო რეესტრის კანცელარიაში რეგისტრაციის ნომერი 127312/17), რომლითაც მოთხოვნილ იქნა № 623917/17 (19.11.2018 წ.) ადმინისტრაციული საჩივრის წარმოების განახლება, აღნიშნულ განცხადებას თან ერთოდა სამკვიდრო მოწმობა.

სამკვიდრო მოწმობის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 190820811, თარიღი: 12.07.2019 წ., ნოტარიუსი: ნ. თვალმისხელაშვილი) თანახმად, თენგიზ ძამსაშვილის (პირადი ნომერი 13001003515) პირველი რიგის მემკვიდრემ, ვიორგი ძამსაშვილმა (პირადი ნომერი 35001057580) სრულად მიიღო მამკვიდრებლის დანაშთი ქონება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლის დანაწესით, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, რომლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის უფლებამოსილებას, წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე, 98-ე, 177-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. №623917/17 (19.11.2018 წ.) ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნენ: ილია დევდარიძე (პირადი ნომერი 13001047903), მარიამ დევდარიძე (პირადი ნომერი 13001049438), თამარ დევდარიძე (პირადი ნომერი 13001055136), ლელა დევდარიძე (პირადი ნომერი 13001057945) და მაკა დევდარიძე (პირადი ნომერი 40001031417).

2. ადმინისტრაციული საჩივრისა და თანდართული დოკუმენტაციის ასლები გაეგზავნოს ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ პირებს.

3. დაინტერესებულ მხარეებს განემარტოთ, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა შესწავლის მიზნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.

4. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2), გურჯაანის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. გურჯაანი, თავისუფლების ქუჩა №15ა) და სიღნაღის მუნიციპალიტეტის წნორის საზოგადოებრივ ცენტრში და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.

5. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge.

6. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მხარეთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე. წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტრონულად



დავით დევიძე